თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7482033

ნომერი: AR11090714

თარიღი : 11.05.2025

გაცემის თარიღი : 19.05.2025

გაცნობის თარიღი : 20.05.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა, N 113;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ლოლაშვილი პ/ნ 01008008282
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 11 მაისს №AR11090714 განცხადებით მომართა ზურაბ ლოლაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 11 ნოემბრის №7282091 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 11 ნოემბრის №7282091 ბრძანებით შეთანხმდა №01.10.07.004.084 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 11 ნოემბრიდან 2028 წლის 11 მაისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 11 ნოემბრის №7282091 ბრძანებით შეთანხმებულ კონსტრუქციულ პროექტში, კერძოდ, კი კ-1, კ-2, კ-3, კ-4, კ-6, ასევე, კ-10 დან კ-32-ის ჩათვლით და კ-37, კ-42, კ-46, კ-50, კ-55, კ-60, კ-65, კ-69, კ-70 და კ-71 ნახაზებზე (1-ბლოკი) „ა-ბ“ ღერძებს შორის მანძილი 5.6 მეტრის ნაცვლად უნდა იყოს 6 მეტრი. შესაბამისად ითხოვს წარმოდგენილი კონსტრუქციული პროექტის ჩანაცვლებას.
განგიმარტავთ, რომ კონსტურქციული პროექტის ჩანაცვლება არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას. სამსახურის 2024 წლის 11 ნოემბრის №7282091 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ცვლილება/კორექტირება საჭიროებს სამსახურის 2024 წლის 11 ნოემბრის №7282091 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას) და შესაბამისი (მათ შორის შესათანხმებელი არქიტექტურული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასების) საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2024 წლის 11 ნოემბრის №7282091 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.